განკარგულება:**გ-63. 6325070001**
თარიღი:**11/03/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის **11 მარტის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის **11 მარტის** სხდომის დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ ‘’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება”–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 6000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - პარკიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.009) 120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის ე.წ ,,სიცილის ოთახის'' პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ .

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

4. ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 1424.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.480) **10.00 კვ.მ** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ .

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

5. ქალაქ სამტრედიაში, ხორავას ქუჩაზე მდებარე 150.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.007), ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №15-ში მდებარე 406.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული 289.86 კვ.მ და 1.63 კვ.მ შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.118), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 244.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.47.219), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის ქ. №169-ში მდებარე 486.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №176-ის მიმდებარედ 155.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.59.152) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 654.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და №1 დანგრეული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.09.45.615) **საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.**

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

6. სსიპ ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლისათვის, ირაკლი ქუთათელაძის სახელის მინიჭებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

7. **სხვადასხვა.**

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი